

როგორ და როდის აპირებს მთავრობა 25-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის 15-პროცენტამდე შემცირებას

ჟურნალი “ბიზნეს ექსპრესი” – 7 თებერვალი, № 3, 2008

მართალია, მოლაპარაკებები გაერთიანებულ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არ დასრულებულა, თუმცა უკვე ამთავითაა ცნობილი, რომ ეს უკანასკნელი მზადაა, მთავრობა არა მხოლოდ ახალი პრეზიდენტის, ახალი პარლამენტის წინაშეც იყოს ანგრიშვალდებული. რაც იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა პარლამენტმა ნდობა ახალ მინისტრთა კაბინეტს და მის ახალ პროგრამას უნდა გამოუცხადოს. მიუხედავად ამ პერსპექტივისა, სულ ახლახან დამტკიცებულმა მთავრობამ უკვე წარმოადგინა პროგრამა, მეტად შთამბეჭდავი სახელწოდებით: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომლის ერთ-ერთი სიკეთე 25-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის 15-პროცენტამდე შემცირებაცაა. ზოგადად პროგრამის შეფასება და, ამის პარალელურად, „საქართველოს რკინიგზისა“ და ფოთის პორტის პრივატიზაციის აქტუალიზაციის მიზეზების გარკვევას ლადო პაპავასთან შევეცადეთ...

– რამდენად რეალისტურია მთავრობის მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამა?

– პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების კომპონენტია პროგრამის წარდგენა და ეს პრაქტიკა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაჩნდა, როდესაც მინისტრთა კაბინეტი შეიქმნა და იქვე

ჩაიწერა, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრობის კანდიდატებმა უნდა მოამზადონ პროგრამა და მათთვის ნდობის გამოცხადება პროგრამისთვის ნდობის გამოცხადებასაც ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მე ყოველთვის ვუჭერდი მხარს მინისტრთა კაბინეტის აღდგენის იდეას, არასდროს ვიზიარებდი მოთხოვნას პროგრამის წარმოდგენის შესახებ: იმიტომ რომ იმ კონსტიტუციურ ვადებში, რაც პრეზიდენტს აქვს ახალი მთავრობის წარსადგენად და პარლამენტს მისთვის ნდობის ან უნდობლობის გამოსაცხადებლად, გამორიცხულია, მთავრობამ დაწეროს პროგრამა. ამან გააუფასურა თვითონ პროგრამის ცნება და, შესაბამისად, არც ერთ პრემიერ-მინისტრს არასდროს არც წარმოუდგენია პროგრამა; ეს უფრო რაღაც განზრახულობათა ოქმის ტიპის დოკუმენტი იყო და კონკრეტულად ვერავის ვერაფერზე მოსთხოვდი პასუხს. თუმცა ეს ბოლო დოკუმენტი, რომელსაც ასევე ჰქვია „საქართველოს მთავრობის პროგრამა“, და რომელსაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, ბევრად უკეთესია, ვიდრე წინა დოკუმენტები, იმიტომ რომ აქ უკვე არის კონკრეტულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ეს დოკუმენტი პროგრამაა, რადგან არ არის მითითებული რის საფუძველზე და რა ვადებში უნდა განხორციელდეს დასახული მიზნები და კონკრეტულად, ვინ რაზეა პასუხისმგებელი.

– ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 25-პროცენტია საშემოსავლო გადასახადი, რომელიც 2008 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში, უნდა შემცირდეს 15 პროცენტამდე. როგორ და როდის უნდა მოხდეს ეს?

– ეს საერთოდ კურიოზია: მოგეხსენებათ, 2008 წლიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი – დაქირავებული აღარ იხდის 20-პროცენტის სოციალურ გადასახადს, დაქირავებულს კი, რომელიც 2008 წლის პირველ იანვრამდე 12-პროცენტის საშემოსავლო გადასახადს იხდიდა, დააწვა 25-პროცენტის საშემოსავლო გადასახადი. მთავრობა, რატომღაც, უტიფრად ამბობს, რომ დაქირავებულს არ ეხება ამ ორი გადასახადის “გაერთიანება”. მართლაც არ ეხება, ოღონდ საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებს და აი რატომ:

სახელმწიფო სექტორში ყველა გადასახადი, საშემოსავლო თუ სოციალური, სიმბოლურია. მთავრობა აძლევს ხელფასს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულს და იქიდანვე იღებს გადასახადებს: ანუ სახელმწიფოს ბიუჯეტის აღრიცხვის ერთი გრაფიდან თანხა მეორე გრაფაში გადააქვს. ამიტომ მთავრობამ, რათა საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ პირს ხელფასი არ დაკლებოდა, შესაბამისი კომპენსაცია ჩადო ხელფასებში, მაგრამ კერძო სექტორში ეს ხომ ასე არ არის?! ეს დამოკიდებულია დაქირავებულის კეთილ ნებაზე, მას კი შეუძლია, თქვას, მე რა შუაში ვარ, მთავრობამ შემოიღო 25-პროცენტისანი საშემოსავლო გადასახადი და მას მიაკითხეთო. მთავრობას არ უნდა შეცდომის აღიარება და ამიტომ ახლა აცხადებს, რომ საშემოსავლო გადასახადი 25-დან 15-პროცენტამდე უნდა დაეყვანოთო. ჯერ ერთი, თხუთმეტი თორმეტი არ არის; მეორეც, რას ნიშნავს 15-პროცენტამდე ხუთი წლის განმავლობაში შემცირება?! ესე იგი, გადასახადი, საშუალოდ, წელიწადში ორი პროცენტული პუნქტით უნდა შემცირდეს; რაც, რეალურად, დიდი ვერაფერი შედავათია; უფრო მეტიც, პროგრამაში არსად არაა გაწერილი, თუ როგორ მოხდება საშემოსავლო გადასახადის ამ ორი პროცენტული პუნქტით საშუალო კლება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 2008 წელს მთავრობა არაფერს აპირებს.

– რატომ არის ფაქტი?

– იმიტომ რომ 2008 წელი 25-პროცენტისანი გადასახადით დავიწყეთ, ბიუჯეტი ამ პრინციპითაა აგებული და ჯერჯერობით მთავრობას არანაირი ახალი პროექტი არ შემოუტანია.

– გასაგებია, რომ დაქირავებულებს არ შეიძლება, მოგვეწონოს 25-პროცენტისანი საშემოსავლო გადასახადი. მთავრობისთვის რატომღაა ეს შეცდომა?

– მთავრობის ამოცანა უნდა იყოს, რომ, ერთი მხრივ, ბიზნესი განვითარდეს და, მეორე მხრივ, მოსახლეობა იყოს კმაყოფილი. მთელი პრობლემა ისაა, რომ სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება შეუძლებელია, რადგან მათი ბაზა სხვადასხვაა: სოციალური გადასახადი ერიცხება ხელფასს, ამიტომ მას იხდის დამქირავებელი, საშემოსავლო გადასახადი კი ირიცხება ხელფასიდან და მას იხდის დაქირავებული. ამდენად, ის, რაც ჩვენთან მოხდა, არის არა ორი გადასახადის გაერთიანება, არამედ ის, რომ ამ ქმედებით ვიღაცას, კერძოდ, დაქირავებულს შეუმსუბუქდა საგადასახადო ტვირთი. ასე რომ, გამოდის, რომ ჩვენი მთავრობა არის დამქირავებლების და არა დაქირავებულების მთავრობა. თუმცა, რადგან ხელისუფლებამ იცის, რომ დაქირავებულები დამქირავებლებზე ბევრად მეტნი არიან და მათი ხმები საჭიროა, შეიძლება, საპარლამენტო არჩევნებამდე რაღაც პროექტი შემოიტანოს პარლამენტში და თქვას, რომ რომ საშემოსავლო გადასახადი ამდენი და ამდენი პროცენტული პუნქტით მცირდება.

– თუმცა არჩევნები ვერ ანელებს, მაგალითად, პრივატიზაციის სისწრაფეს და გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია: სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტები სხვა სახელმწიფოს მფლობელობაში გადადის.

– ჩვენ რატომღაც პრივატიზაციას ვუწოდებთ სხვა სახელმწიფოს კაპიტალის შემოსვლას. ეს მოხდა, მაგალითად, „თბილგაზთან“ დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში იყო და მისი მყიდველი აღმოჩნდა „ეაზმუნაიგაზი“, ყაზახური კომპანია, რომელიც ასე პროცენტით ყაზახეთის სახელმწიფო საკუთრებაა. ეს არის არა პრივატიზაცია, რადგანაც საქართველოს სახელმწიფო საკუთრება ყაზახეთის სახელმწიფოს გადავეცით. მართალია, მესაკუთრე შეიცვალა, მაგრამ ის არ გახდა კერძო მესაკუთრე. ამით ჩვენმა მთავრობამ აჩვენა, რომ ყაზახი სახელმწიფო მენეჯერები უკეთესი მენეჯერები არიან, ვიდრე ქართველი სახელმწიფო მენეჯერები.

– და მხოლოდ ეს აჩვენა?

– ეს ფორმალური მხარეა. გარიგებების შესახებ ჭორობას ვერ დავიწყებ, რადგან არ ვფლობ დადასტურებულ ინფორმაციას, რომელი კონკრეტული საჯარო მოხელის ინტერესი დაკმაყოფილდა, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო ქონების ამგვარად გასხვისებას არ შეიძლება, ეწოდებოდეს პრივატიზაცია. რაც შეეხება „თელასს“: აქ უფრო რთული სიტუაციაა, რადგან თავის დროზე „თელასი“ ამერიკულმა კერძო კომპანიამ იყიდა, ანუ მაშინ მართლაც მოხდა პრივატიზაცია, მაგრამ შემდეგ, როდესაც ამერიკული „ეი-ი-ესი“ არა მხოლოდ საქართველოში გაკოტრდა, მისგან „ეი-ი-ეს თელასის“ აქტივები რუსულმა „რაო ესმა“ შეიძინა.

– შესაბამისად, სავსებით რეალურია, რომ „საქართველოს რკინიგზაც“ და ფოთის პორტიც სხვა სახელმწიფო კაპიტალის ხელში აღმოჩნდეს?

– ლაპარაკია მათ პრივატიზაციაზე ან გრძელვადიანი იჯარით გადაცემაზე. ჩემი აზრით, რკინიგზისა და ფოთის პორტის, თუნდაც, მართვის უფლებით გადაცემა დიდი შეცდომაა. დღეს საქართველოს ჩამოუყალიბდა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია: ეს არის სატრანზიტო დერეფანი, სატრანზიტო დერეფნის წარმატებით ფუნქციონირებისთვის კი, გარდა მილსადენებისა, აუცილებელია რკინიგზა და, რა თქმა უნდა, ჩვენი პორტები. ნუ დაგვავიწყდება, რომ სომხეთში რკინიგზას რუსეთი აკონტროლებს, ანუ სომხეთს საკუთარი რკინიგზა აღარ გააჩნია. ამდენად, ვინ არის ყველაზე მეტად დაინტერესებული, რომ საქართველოს არ ჰქონდეს სატრანსპორტო დერეფანი?! რუსები, რა თქმა უნდა, არც ისე სულელები არიან, რომ ღიად შემოვიდნენ. მათ შეიძლება, მესამე ქვეყანაში დააფუძნონ ფირმა და თავიდან ვერც მიხვდეს, რა ფირმაა; შესაძლოა, მართლაც ვიღაც უცხოელმა იყიდოს ეს ობიექტები, მაგრამ გავიხსენოთ „ეი-ი-ესის“ შემთხვევა, ის გაკოტრდა და თავისი აქტივები მიჰყიდა რუსეთს. ფაქტია, რომ დღეს რკინიგზისა თუ ფოთის პორტის, თუნდაც, მართვის უფლებით გადაცემით

დაინტერესებულია რუსეთი და ამიტომ მათი საპრივატიზაციოდ გამოტანა ხელისუფლების მხრიდან ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ შეცდომა.

ნინო მდივანი